# განმარტებითი ბარათი
# „საქართველოს პარლამენტის მეგობრობის ჯგუფების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 18 თებერვლის №241-IVმს-Xმპ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:**
**ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:**
**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილების პროექტი:**

დადგენილების შემუშავების მიზეზია საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ საგარეო ურთიერთობების კომიტეტისთვის გაკეთებული წერილობით მიმართვები მეგობრობის ჯგუფებში მათი გაწევრიანების თაობაზე მოთხოვნით.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:**

დადგენილების მიღება განპირობებულია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისთვის პარლამენტის წევრების მიერ საქართველოს პარლამენტის მეგობრობის ჯგუფებში გაწევრიანების თაობაზე წერილობით გაკეთებული მომართვების ასახვის აუცილებლობით „მეგობრობის ჯგუფების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის გზით.

**ა.ბ) დადგენილების მოსალოდნელი შედეგები:**

დადგენილების მიღების შედეგად საქართველოს პარლამენტში შექმნილი მეგობრობის ჯგუფებს დაემატებიან პარლამენტის ის წევრები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სხვადასხვა მეგობრობის ჯგუფებში გაწევრიანების თაობაზე.

**ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

დადგენილების პროექტის მიხედვით, პარლამენტის წევრები გაწევრიანდებიან მეგობრობის ჯგუფებში მათ მიერ წერილობით გამოხატული მოთხოვნის შესაბამისად.

**ა.დ) დადგენილების პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმას.

**ა.ე) დადგენილების პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო დადგენილებისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

დადგენილების პროექტი ძალაში შევა მიღებისთანავე, რათა მეგობრობის ჯგუფის ვიზიტის დაგეგმვის შემთხვევაში, ამ ვიზიტში მონაწილეობის მსურველმა, ან მონაწილეობაში მისაღებად მიწვეულმა პარლამენტის წევრმა დაყოვნების გარეშე შეძლოს ვიზიტში მონაწილეობის მიღება. დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს დადგენილებისათვის ან მისი ცალკეული ნორმისათვის უკუძალის მინიჭებას.

**ა.ვ) დადგენილების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება:**

დადგენილების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა დადგენილების პროექტის ინიციატორის მიერ არ არის მოთხოვნილი.

**ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (დადგენილების პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) :**
**ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

დადგენილების მიღებასთან დაკავშირებული შესაძლო ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი.

**ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

დადგენილების მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

**ბ.გ) დადგენილების გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

მეგობრობის ჯგუფების წევრთა მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფინანსდება საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, დადგენილების პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

დადგენილების მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს;

**ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია დადგენილების პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

დადგენილების პროექტი არ გამოიწვევს რაიმე სახის ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზედაც გავრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

დადგენილების პროექტი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის (ფულადი შენატანის) შემოღებას არ ითვალისწინებს;

**ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის ზეგავლენის შეფასება;**

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**
**გ.ა) დადგენილების მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს;

**გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

დადგენილების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) დადგენილების მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება დადგენილების მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი აქტი არ არსებობს;

**დ) დადგენილების მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**
**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დადგენილების პროექტის შემუშავების პროცესში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს;

**დ.ბ) დადგენილების შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს;

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება დადგენილების პროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული დადგენილებისვპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;**

ასეთი არ არსებობს.

**ე) დადგენილების პროექტის ავტორი:**

საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ხელაშვილი.

**ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ხელაშვილი.